იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისთვის გაწეული დახმარების კოორდინაცია საქართველოში (2008–2011)

- **ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს აკლია ფინანსური და პოლიტიკური მხარდაჭერა აღმასრულებელი ხელისუფლებისგან;**

- **ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს სუსტი კომუნიკაციისა და ინფორმაციის გაზიარების ხერხები თავად სამინისტროს შესაძლებლობებისა და მთავრობის ნების ნაკლებობას უკავშირდება;**

- **მთავრობა და დონორები უფრო სწრაფად უნდა გადასულიყვნენ კრიზისზე რეაგირების მოკლევადიანი მიდგომიდან გრძელვადიანი განვითარების დაფინანსების მექანიზმებზე;**

- **ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო მედიასა და საკომუნიკაციო საშუალებებს თვითრეკლამისთვის უფრო იყენებს ვიდრე ნეიტრალური ინფორმაციის გაზიარებისთვის.**

21 ოქტომბერი, 2011

თბილისი - „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ წარმოადგენს შემაჯამებელ ანგარიშს საქართველოში, 2008-2011 წლებში დევნილთა განსახლებისთვის გაწეული დახმარების კოორდინაციის შესახებ. ანგარიშში მოცემულია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიერ ბოლო ორნახევარი წლის განმავლობაში დევნილთა გრძელვადიანი განსახლების პროცესის მონიტორინგის შედეგები. ძირითადად გაანალიზებულია ოთხი სექტორის: მთავრობის, დონორების, დამხარების სააგენტოებისა და სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთქმედება.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ აღნიშნული კვლევის ფარგლებში აგრეთვე წარმოადგენს სისხლის სამართლის სექტორის რეფორმასა და დევნილთა განსახლების პროცესში განხორციელებული დახმარების კოორდინაციის შედარებით ანალიზს. ყურადღება გამახვილებულია აღნიშნულ სექტორებში მონაწილე სამთავრობო უწყებებს, დონორებს, დამხარების სააგენტოებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის კოორდინაციის მექანიზმებზე. ჩვენი მიზანი იყო ამ შედარებითი კონტექსტის გამოყენებით, უკეთ გაგვეგო დევნილთა განსახლებისთვის გამიზნული დახმარების პროცესი და ხელი შეგვეწყო მისი გაუმჯობესებისათვის.

კვლევის ძირითადი დასკვნები შემდეგია:

- იუსტიციის სამინისტრო სხვა სამთავრობო უწყებებთან მიმართებაში ინსტიტუციურად ძლიერი უწყებაა და ადამიანური რესურსების თვალსაზრისით შთამბეჭდავი შესაძლებლობები გააჩნია, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო კი ნაკლებ დაფინანსებას ღებულობს და აღმასრულებელი შტოს ხელმძღვანელობის ნაკლები პოლიტიკური მხარდაჭერით სარგებლობს.
- ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს სუსტი კომუნიკაციისა და ინფორმაციის გაზიარების ხერხები თავად სამინისტროს შესაძლებლობებისა და მთავრობის ნების ნაკლებობას უკავშირდება.

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

- მთავრობაც და დონორებიც დევნილთა სტაბილური საცხოვრებლებით უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ პრობლემებს აღიქვამდნენ როგორც მწვავე ომის შემდგომ სიტუაციას, რამაც ხელი შეუშალა შეუფერხებელ გადასვლას მოკლევადიანი კრიზისიდან გრძელვადიანი განვითარების დაფინანსების მექანიზმებზე. ეს უკანასკნელი ხელს შეუწყობდა დევნილთა ძველი ნაკადის განსახლების საკითხის უფრო კარგად გააზრებასა და კომპლექსური მიდგომით გადაწყვეტას.
- ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო მედიასა და საკომუნიკაციო საშუალებებს თვითრეკლამის ინსტრუმენტად უფრო მიიჩნევს ვიდრე ნეიტრალური ინფორმაციის გაზიარების მექანიზმებად, რაც ხელს უწყობს საქართველოში დევნილებთან დაკავშირებული საკითხების მუდმივ პოლიტიზებას.

აღნიშნულ დასკვნებზე დაყრდნობით **„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ შეიმუშავა შემდეგი რეკომენდაციები მთავრობისა და დონორებისათვის:**

- ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო მეტი ადამიანური და ტექნიკური რესურსებით უნდა აღიჭურვოს და სხვა უწყებების საქმიანობის საკუთარ ხედვასთან შესაბამისობაში მოყვანის უფლებამოსილება მიენიჭოს.
- ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს საქმიანობა უფრო გამჭვირვალე უნდა იყოს; ინფორმაციის გაზიარებას სამინისტროს დევნილთა საკითხების მართვის კომიტეტის დღის წესრიგში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა მიენიჭოს.
- დევნილთა განსახლებისთვის გამიზნული დახმარების პროექტები უფრო ზედმიწევნით უნდა დაიგეგმოს და დონორებმა გრძელვადიანი დაფინანსების ვალდებულება უნდა აიღონ.
- დონორებმა ფულადი სახსრების ხარჯვაზე, განსაკუთრებით კი პროექტების დეტალებზე, უფრო მკაცრი კონტროლი უნდა დააწესონ და სამთავრობო უწყებებისაგან უფრო მეტად დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღება მოითხოვონ.
- ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ უნდა გამონახოს მისი საქმიანობისადმი კრიტიკულად განწყობილ მედია საშუალებებთან და ორგანიზაციებთან უფრო ეფექტური კომუნიკაციის დამყარების გზები.

საკონტაქტო პირი:

ნანა ლობჟანიძე, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, nana@transparency.ge ,
(995 32) 932 129
ქეითლინ რაიენი, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, caitlin@transparency.ge,
ლაშა გოგიძე, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, lasha@transparency.ge ,
(995 32) 921 403

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

ამ კვლევის ჩატარება ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ გულუხვი დახმარების წყალობით გახდა შესაძლებელი. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები მხოლოდ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ პოზიციას ასახავს

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge